ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №45

23 ივნისი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან არველაძე,არჩილ გორდულაძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
   საკრ.№15-032317264-03 21/06/23(11-01231721767

დღის წესრიგი დამტკიცდა.

კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარიდგინა გაიოზ თალაკვაძემ.
წარმოდგენილია რაიონული გამგეობების და საქალაქო სამსახურების მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები.
კერძოდ: ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, ქალაქის მასშტაბით გზების მიმდინარე შეკეთებისათვის პროგრამის „გზების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგ/კოდი 01 01 01) მეორე კვარტალს ემატება 500 000 ლარი, გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობისათვის პროგრამის „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“ (პროგ/კოდი 02 05) მეორე კვარტალს ემატება 507 315 ლარი, ხოლო სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობისათვის , პროგრამის „ სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა“ (პროგ/კოდი 02 06) მეორე კვარტალს ემატება 54 990 ლარი.
ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნით, დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებიდან გამომდინარე იზრდება პროგრამის „ დაავადებათა სკრინიგი“ (პროგ/კოდი 06 01 02) მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 125 000 ლარით, პროგრამის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რებაილიტაციის „ (პროგ/კოდი 06 01 06) მეორე კვარტლის გეგემა იზრდება 260 000 ლარით.იზრდება ასევე პროგრამის „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება“ (პროგ/კოდი 06 02 05) მეორე კვარტლის გეგმა 2000 ლარით.
თბილისის მუნიციპალიტეტში მიწების რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრის მომსახურების ასანაზღაურებლად, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მეორე კვარტლის გეგემა იზრდება 4 000 000 ლარით.
შესრულებული სამუსაოების მიღებჩაბარების აქტებიდან გამომდინარე ნაძალადევის რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამის (პროგ/კოდი 02 09 11) მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 100 000 ლარით, რაც გადმოაქვთ „რაიონის გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამიდან.

საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 4 508 285 ლარით, მესამე და მეოთხე კვარტლების შემცირების ხარჯზე.

მომხრე- 6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობები, ინფრასტრუქტურის განვითარების და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური,ასევე სსიპ ქონების მართვის სააგენტო ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, **ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს:**

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**